უჟმური კვირა

ექვსი წელია ვემზადები
დავწერო ლექსი:- dimancpe,
ამას ჰქვია ლაფორგის კვირა.
ასეთი უჟმური კვირაც არ მახსოვს,
ზარები ქალაქშიაც არა რეკავენ ყველა ტაძარი შეიქნა ფეერიული.
ეს ლექსი კიდევ თუ დღეს არ მეთქვა,
ნაღველი გულში ჩამექცეოდა.
შემიძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის
ნამდვილი ღმერთი ვარ.
და თუ ამას დაემატება,
რომ ლოთობა ჩემი სტიქიაა ჩემზე ეროვნული პოეტი
არ ყოფილა საქართველოში.
კოტე მარჯანიშვილი,
სანდრო ახმეტელი,
შალვა დადიანი
და უშანგი ჩხეიძე,
ზიან ტანტების ცირკში კულა გლდანელის იუბილეზე.
ვინ მისცათ ყარაჩოღელებს
ამდენი ტემპერამენტი?
საწყალი გლდანელი დგას
გაკოტრებულ სოვდაგარივით.
მის წინ ძველი პორტრეტო,
– რკინაჩამოსხმულ ადამიანად.
პაოლო იაშვილის მაგიერ
სიტყვას ამბობს "არბიტორი“:
"შენ დაუკა, ვანუა“.
თავისმკვლელებივით მოდიან რუსთაველზე
გაფრინდაშვილი და ნადირაძე
და შემდეგ ერთად ვიხრჩობით
„მხიარულ ქვრივზე“.
ეს ლექსი ვარიანტია
ერთ გაუქმებულ კვირის.
შემდეგ ალბათ ამისთვისაც
ვეღარ მოვიცლით ყველაფერი წინ მიდის,
იწყება ლექსის ელექტროფიკაცია.

ივლისი,
1923 წ.